

ზღვისპირა საკურორტო ზონებში 151 კვების ობიექტი შეამოწმეს



სურსათის ეროვნული სააგენტო
ზღვისპირა საკურორტო ზონებში
საზოგადოებრივი კვების
ობიექტებს ამოწმებს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, როტაციის პრინციპით, თბილისის საქადაქო სამსახურის, გურიისა და აჭარის რეგიონული სამმართველოების ინსპექტირების ჯგუფების მიერ ერთ თვეში შემოწმდა 151 ობიექტი.

აქედან, კრიტიკული შეუსაბამობების 12 ფაქტი გამოვლინდა, რაზეც სააგენტომ განახორციელა კანონმდებლობით გათვარისწინებული სანქციები, ბიზნესოპერატორებს შეუჩერდა საწარმოო პროცესი და მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები.

„შემოწმებისას ყურადღება ექცევა ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, ტემპერატურულ რეჟიმს, სურსათის შენახვის პირობებსა და ვადებს, მიკვდევადობას.

ობიექტების კონტროლი როტაციის პრინციპით მეორე წერია მიმდინარეობს. გასურ წდებთან შედარებით დარღვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რაც სააგენტოს მიერ გააქტიურებული კონტროლისა და ბიზნესოპერატორთა ინფორმირებულობის გაზრდის შედეგია“, – აცხადებენ უწყებაში.